საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვახტანგ II

ვახტანგ II, აღმოსავლეთ საქართველოს მეფე 1289–92, დავით VI ნარინის ძე. მეფედ დასვა არღუნ ყაენმა ხუტლუბუღას რჩევით იმ ანგარიშით, რომ იგი დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღებდა დას. საქართველოს ტახტსაც. ამ გზით მონღოლთა მფლობელობაში გაერთიანდებოდა ლიხსიქითა საქართველოც. ვ. II-ის აღმზრდელი ყოფილა მწიგნობარი ვინმე ფარსმანის შვილი. ვ. II დინჯი და წინდახედული მმართველი, ქვეშევრდომების მიმართ მოწყალე და გულუხვი, მართლმსაჯულების პირუთვნელი დამცველი გამოდგა. მან თვითონ აიღო ხელში ქვეყნის მმართველობა და ხუტლუბუღას თვითნებობის უფლება არ მისცა, ამის გამო მათ შორის მტრობა ჩამოვარდა. ხუტლუბუღამ ვახტანგს დემეტრე II-ის ვაჟი დავითი (შემდგომში დავით VIII) დაუპირისპირა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ვ. II მოულოდნელად გარდაიცვალა. დაკრძალულია გელათში.

წყარო: ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, რ. კიკნაძის *გამოც.*, თბ., 1987.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (*თხზ.* თორმეტ ტომად, ტ. 3).

ნ. ასათიანი